საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/77

ქ. ბათუმი 21 ივლისი, 2023 წ.

ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2023-2024 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 25 სექტემბერს** და დასრულდეს **2024 წლის 12 იანვარს;**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს 2023 წლის 16 სექტემბერს**;

გ) საშობაო არდადეგები **გამოცხადდეს** 2023 წლის 30 დეკემბრიდან 2024 წლის 08 იანვრამდე;

დ) ძირითადი გამოცდები **ჩატარდეს** 2024 წლის 15 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2024 წლის 5 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით.

1.2. **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2024 წლის 4 მარტს** და დასრულდეს **2024 წლის 15 ივნისს;**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს** 2024 წლის 24 თებერვალს;

გ) ძირითადი გამოცდები **ჩატარდეს** 2024 წლის 17 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდო - 2024 წლის 08 ივლისიდან 13 ივლისის ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება **მოხდეს** 2024 წლის 15 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით;

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.

4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

5. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) და ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს პორტალზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**